

საქართველოს კანონი

„კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 7, 1998 წელი, მუხ. 51) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. კანონის მე-27 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კოლხეთის დაცული ტერიტორიების სახელმწიფო მართვა ხორციელდება „დაცული ტერიტორიების სისტემის“ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

3. დაცული ტერიტორიების მართვაში, ფუნქციონირებასა და განვითარებაში ადგილობრივი თვითმმართველობისა ორგანოთა მონაწილეობის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“

2. კანონის მე-27 მუხლის მე-5 პუნქტი ამოღებული იქნას;

3. კანონის 33-ე მუხლი ამოღებული იქნას;

4. კანონის 34-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 34. კოლხეთის დაცული ტერიტორიების დაფინანსება

კოლხეთის დაცული ტერიტორიების დაფინანსება ხორციელდება „დაცული ტერიტორიების სისტემის“ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

5. კანონის 48-ე მუხლი ამოღებული იქნას

მუხლი 2. კანონის ამოქმედების ვადა.

„1. ამ კანონის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან;

2. ამ კანონის მე-5 პუნქტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.“

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი